Funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

INTEGRITY

რა არის პლაგიატი?

აკადემიური კეთილსინდისიერება
და პლაგიატის პრევენცია
კავკასიის უნივერსიტეტში

 КАВКАСИИС УНИВЕРСИТЕТИ
CAUCASUS UNIVERSITY

WWW.CU.EDU.GE

პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები და სანქციები უნივერსიტეტში რეგულირდება ***აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსით***, რომელიც შემუშავებულია ერაზმუს+ პროექტის "აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (INTEGRITY)" ფარგლებში.

დოკუმენტს შეგიძლიათ გაეცნოთ **აქ.**

პროექტის მიზანია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების და შეფასების ხარისხის განვითარება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. პროექტის შესახებ ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: **იხ. ვებ-გვერდზე**.

რა არის პლაგიატი?

პლაგიატი (აკადემიური სიყალბე) არის სხვისი ნაშრომის ან იდეების მითვისება, წყაროს მითითების გარეშე ან არასწორი წყაროს მითითება.

პლაგიატის ფორმები:

- პირდაპირი პლაგიატი - წყაროდან სიტყვა-სიტყვით გადმოწერა ციტირების ან მითითების გარეშე;
- თვითპლაგიატი - საკუთარი გამოქვეყნებული ნაშრომის/იდეების გამოყენება მითითების გარეშე;
- მოზაიკური პლაგიატი - სხვადასხვა წყაროდან აღებული ტექსტების/იდეების გაერთიანება, შესაბამისი ავტორების მითითების გარეშე;
- შემთხვევითი პლაგიატი - კვლევის დროს დაშვებული დაუდევრობა, რაც, შედეგის გათვალისწინებით ისეთივე დარღვევაა, როგორც პირდაპირი პლაგიატი.

რატომ არის პლაგიატი არაეთიკური და დამაზიანებელი?

- ეს არის ერთდროულად ინტელექტუალური საკუთრების ქურდობა და მოტყუება, რაც ერთმნიშვნელოვნად არაეთიკურია.
- პლაგიატის გათვალისწინებით ნაკლებია წერის პრაქტიკა, შესაბამისად, ვერ განივითარებთ წერის უნარს.
- არ ქმნით სიახლეს და შესაბამისად იზღუდავთ პროფესიული ზრდის შესაძლებლობას.
- პლაგიატიზმს აქვს უარყოფითი შედეგები: მიიღებთ დაბალ ქულას ან ვერ მიიღებთ დამაკმაყოფილებელ შეფასებას. მრავალჯერადი ან სერიოზული დარღვევის დადგენის შემთხვევაში არსებობს მკაცრი სანქციები (იხ. უნივერსიტეტის შესაბამისი პოლიტიკა).

როგორ უნდა აირიდოთ პლაგიატი თავიდან?

- მიუთითოთ გამოყენებული ინფორმაციის ზუსტი წყარო;
- გამოყენებული ციტატები ჩასვით ბრჭყალებში, წყაროს ზუსტი მითითებით;
- არ გამოიყენოთ ინტერნეტში განთავსებული მასალები წყაროს მითითების გარეშე;
- ავტორის იდეების პარაფრაზირებისას პარაფრაზი ორიგინალისგან განასხვავეთ ენობრივად, თუმცა დაიცავით ავტორის მთავარი აზრი;
- საკუთარი, უკვე გამოქვეყნებული მასალის ციტირებისას გააკეთეთ შესაბამისი მითითება.

რას მოგცემთ პლაგიატზე უარის თქმა?

- განივითარებთ აკადემიური წერის უნარს;
- გაეცნობით მეტ აკადემიურ ლიტერატურას;
- თავად შექმნით ახალ ცოდნას;
- თავიდან აირიდებთ დისციპლინურ სასჯელს.



პლაგიატის პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით კავკასიის უნივერსიტეტში დაინერგა პლაგიატის ამოცნობის სპეციალური პროგრამა (Turnitin), რომელიც ტექსტებს შორის მსგავსების დადგენას და პლაგიატის აღმოჩენას ემსახურება.